№ 68 1877—1900 № 68

სამშაბათი, 28 მარტი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

სამშაბათი, 28 მარტი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

ოთხშაბათს, 29 მარტს, ტფილისის „სობრანიის" დარბაზში დასეტყვილ სოფლების: ავლევისა, კნოლევისა და ოქონის

(გორის მაზრა) დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ გაიმართება

## კონცერტი.

მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის საუკეთესო მომღერალნი, დამკვრელნი და მკითხველნი არტისტნი.

ბილეთები იყიდება კრილოვის ქუჩაზედ, № 8, ხოლო კონცერტის საღამოს „სობრანიის" დარბაზში. გამგე კონცერტისა კნ. სოფიო ვასილის ასული ამირეჯიბი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. (2—უ.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ზ საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შჯაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შჯაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს ზ გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი ასესორობა—ბათუმის ნაწილის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორს თავად წერეთელს; ნადვორნი სოვეტნიკობა—ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ხაბურზანიას; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ცხინვალის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს უზნაძეს.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზედ თერგის ოლქის კავკავის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანაშემწე ვირსალაძე.

### ახალი ამბავი

*** შაბათს, 25 მარტს, ქართულ თეატრში ბ-ნ ზ. პ. ფალიაშვილის მიერ გამართულმა ქართულმა კონცერტმა კარგად ჩაიარა. ხორომ მშვენივრად შეასრულა ქართული სახალხო სიმღერები. კარგად ჩაიარა აგრეთვე ვოდევილმა „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი". ხალხი კონცერტს ბლომად დაესწრო.

*** ზუგდიდიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ 27 მარტს დაიწყო მოქმედება ახლად დაარსებულმა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამაო.

*** კვირას, 26 მარტს, ტფილისის სობრანიის დარბაზში ბ-ნ მონადირიშვილის ლოტბარობით გაიმართა ქართული სასულიერო კონცერტი, რომელმაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. სხვათა შორის კონცერტს დაესწრნენ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსნი: გორისა—ლეონიდი და ალავერდისა—კირიონი, სამღვდელოება, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი სტეფანოვიჩი, კავკასიის მე-2 კორპუსის უფროსი თავ. ამირეჯიბი და სხვანი.

*** კვირას, 26 მარტს, სამეურნეო ბანკის წევრთა კრებაზედ ბანკის დირექტორად ამორჩეულ იქმნა ერთხმად ისევ ვ. რ. ყიფიანი, საბჭოს წევრებად ნ. თ. ხიზანაშვილი (უწინდელივე) ერთხმადვე და გ. ლასხიშვილი (44 თ. და 1 შ.), სარევიზიო კომისიის წევრებად წინანდელივენი იქნენ ამორჩეულნი ერთხმადვე.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას ერთ-ერთ უკანასკნელ კრებაზედ დაუდგენია აარჩიოს განსაკუთრებული კომისია და ამ კომისიას მიანდოს ადგილობრივ ენებზედ (ქართულსა და სომხურზედ) გადმოთარგმნილ ხალხისთვის ადვილ გასაგებ სამკურნალო შინაარსის წიგნაკების რედაქტორობა; ამავე კომისიამ უნდა გამოსძებნოს საჭირო წყარო წიგნების გამოსაცემად და შემდეგ ეცადოს წიგნაკები ხალხში გაავრცელოს. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ქიქოძე, ბაბაევი, ტარსაიძე, სტეფანოვი, ვაწაძე და ორბელი.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა გადასცა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს მიერ შეცვლილი და მოწონებული ინსტრუქცია ქალაქის სასწავლებელთა კომისიისთვის.

## ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის თანამშრომელისაგან)

IV *)

საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაჭირვება

ბარნატოს გამდიდრების ისტორია საყურადღებოა უფრო იმიტომ, რომ იგი ყველას გაგონილი ჰქონდა, ყველამ კარგად უწყოდა და მაინც გმირი ამ ისტორიისა, თვით ბარნატო, დიდად მიღებული იყო ფინანსისტთა, პოლიტიკოსთა და უპირველესს არისტოკრატთა შორის. ბარნატო ისეთივე გმირი იყო კაპიტალიზმისა, როგორიც როდსი, ბეიტი, ჰამსფორთი და აწინდელის კონსერვატიზმის სხვა მოღვაწენი არიან.

რა წესები შემოიღეს ამ კონსერვატიულ კაპიტალიზმისა და ბირჟის მომქმედთ?

კიმბერლეიში, სადაც ეს ვაჟბატონები ჰმეფობენ, იმათ ხელშია დინამიტის მომზადებისა, სპირტის გამოხდისა და მთელის ვაჭრობის მონოპოლია. მაგრამ არა ჰყოფნით. არა ჰყოფნით ბრილიანტისა და ოქროს მადნები, ვაჭრობა და სხვა უფლებანი. უმთავრესად მათთვის მუშა-ხელია საჭირო, იაფი, უკეთ რომ ვთქვათ, მუქთი მუშა ხელი, ხოლო სად და რა გზით იშოვონ მუქთი მუშა—ნამდვილი წყარო გამდიდრებისა?

ზანგები ან სულ არ მიდიოდნენ სამუშაოდ, ან თუ მიდიოდნენ, ცოტა ხნით, შემდეგ, მიიღებდნენ თუ არა თავიანთ ნაშრომ-ნაღვაწს, მოსვენებას ეძლეოდნენ. ზანგების მცირე მოთხოვნილებას ესეც აკმაყოფილებდა. თეთრ-კანიანი—ბოერები, ინგლისელნი, ირლანდიელნი და სხვანი, თავიანთ შრომას ძვირად აფასებდნენ. თუ ზანგს დღეში ორი შილლინგი ჰყოფნიდა, თეთრ-კანიანისათვის 9—15 იყო საჭირო. წარმოიდგინეთ ეხლა, მკითხველო, ამ ბარნატოების, როდსების, ეკშტეისნების, ბეიტების და სხვა მძარცვავთა სულიერი მდგომარეობა: მარტო 3 ათასი მუშა ზანგის ყოლით შეიძლება 15-დგან 25 ათას მანეთამდე დაეზოგათ დღეში! მაგრამ როგორ უნდა ემუშავებინათ ზანგები?

უპირველეს ყოვლისა მახლობლად მყოფ ტომთა უფროსებსა და თავადებთ დაჰპირდნენ, სამუშაოდ გამოგზავნილ თითო ზანგში როდსისა და ამხ.-გან ნიხრით გადაწყვეტილ ჯილდოს მიიღებთო. უფროსები და თავადები გულ-მოდგინეთ შეუდგნენ საქმეს, მაგრამ ყველანი ძალით მაინც ვერ ამუშავეს და საჭირო მუშა-ხელი ვერ შეკრიბეს. მაშინ მძარცველნი, რომელთა წინამძღოლიც, როდსი, კაპის მთავრობის მინისტრად შეიქმნა და ამით მთელმა ამხანაგობამ მართვა-გამგეობის საქმე ხელთ ჩაიგდო, გულმოდგინეთ შეუდგნენ ზანგთა აღელვებას თეთრ-კანიანთა წინააღმდეგ. მინისტრი როდსი დაუზარებლად ჰგზავნიდა ჯარს. შეუდგნენ აჯანყებულთა დაწყნარებას; სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ, ხოლო დაწყნარებულ ზანგებს მადნების მახლობლად ასახლებდნენ და დიდს გარდასახადს აწერდნენ. ფულის საშოვნად ზანგი ვალდებული იყო მადანში შესულიყო და იქ ემუშავნა. მაგრამ მძარცვავთ ესეც საკმაოდ არა სცნეს და იმავე ყოვლად ძლიერის როდსის მეცადინეობით გამოსცეს „კანონი", რომლის ძალითაც თითოეული „მორჯულებული" ზანგი ვალდებულია სამი დღე დადგენილის ნიხრით თეთრ-კანიანის სასარგებლოდ იმუშაოს.... ამ რიგად ინგლისის თავისუფალ დროშის ქვეშ ბატონ-ყმობა იქმნა შემოღებული.

მადნებში ძალად შერეკილ მატაბელებსა და სხვა ზანგებს, რომელთაც როდსისა და ამხ. მამაცი ჯარი 1893, 94, 95 წლებში „არჯულებდა", ძლიერმა მძარცვავებმა ამას გარდა საცხოვრებლად თავიანთი ყაზარმები გაუმართეს და ზედამხედველებად შეიარაღებული კაცები მიუჩინეს. რათა ამ საწყალ მონებს ოქრო და ბრილიანტი არ მოეპარათ, მაჯებზედ რკინის სალტები გაუკეთეს, ხოლო იმავე მონებს ძვირფასი ქვები რომ არ გადაეყლაპათ და ისე არ გაეტანათ, კვირაში ერთხელ სასაქმებელსა და საფაღარათოს აძლევდნენ. როგორც ტუსაღები, ისე დაჰყავდათ სამუშაოდ და შემდეგ ტუსაღებსავით მიერეკებოდნენ ყაზარმებში დასამწყვდევად.

— ნუ თუ ინგლისელებმა ინგლისის თავისუფალ დროშის ქვეშ ასეთი მონობა შემოიღეს?—შეჰყვირებს, ეჭვი არ არის, უკმაყოფილო მკითხველი.

— დიაღ, ინგლისელებმა შემოიღეს! ისიც ვილბერფორსისა, რ. ოვენისა და გლადსტონის შემდეგ.

— რაღას უყურებს და რატომ ხმას არ იღებს განათლებული მოწინავე საზოგადოება?—მკითხავენ უთუოდ.

ამ საზოგადოების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ თვით ინგლისელებმავე გამოაშკარავეს ყველაფერი, თვით მათვე აღიმაღლეს ხმა და უკმაყოფილება განაცხადეს ყოველისავე ამ ბოროტების გამო, და ამას-კი, ასეთ არა პატრიოტულ საქმის გამომჟღავნებასა და გამოაშკარავებას მხოლოდ და მხოლოდ ინგლისში შეჰხვდებით, შეიძლება საფრანგეთშიაც, თუმცა ძნელად კი. ინგლისის საზოგადოებრივ განვითარების ძალა კიდეც ის არის, რომ სხვა-და-სხვა დასის პატიოსანნი კაცნი პირს წყლით არ ივსებენ და ენაზე კლიტეს არ იდებენ თავისისავე ერის შვილთა შორის უწესოების, უკანონობის დანახვის დროს. ასე მოხდა საპარლამენტო ცვლილებათა და პურის კანონებისთვის ბრძოლის დროს, ასე მოხდა მესამოცე წლებში და ასევე ხდება ეხლა... მაგრამ ამაზედ ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

ბანკირთა საერთაშორისო ამხანაგობამ, მიაღწია რა გულის წადილს და შემოიღო რა მონობა როდეზიასა და კიმბერლეიში, ახლა თავისი გაუმაძღარი თვალები ტრანსვაალის რესპუბლიკას მიაპყრო, იმ რესპუბლიკას, რომელიც ასე მდიდარია ოქროს მადნებით. საოცარი მხნეო-

*) იხ. „ივერია" № 65.

*** ამა წლის მაისისთვის დანიშნულია გასასყიდად სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული მამულები. სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიისა 48 მამულია დანიშნული გასასყიდად, ტფილისისა კიდევ—87.

*** 26 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილების სესსია წავიდა დუშეთში სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. სესსია 31 მარტამდე დაჰყოფს იქ.

*** მუშაობა ბაკურიანის რკინის შტოს გასაყვანად წარსულის წლის შემოდგომაზედ შეჩერებულ იქმნა დიდის თოვლის გამო. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულებით 25 მარტიდგან ხელ-ახლა შეუდგნენ მუშაობას.

*** აზრადა აქვთ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში შემოიღონ ხატვის სწავლება. როგორც „კავკ.“-ი იუწყება, უკვე შეუმუშავებიათ ამისი პროექტი.

*** როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, ინჟენერს მიხაილოვს უკვე შეუმუშავებია და წარუდგენია ქუთაისის ქალაქის გამგეობისათვის პროექტი ქუთაისში წყლის მილის გაყვანისა.

*** იმ უმაწვილ-კაცების საყურადღებოდ, რომელნიც ამ შემოდგომაზედ იქმნებიან გაწვეულნი სამხედრო ბეგრის გადასახდელად, ქალაქის გამგეობის ჭის კარებზედ ველიამინოვის ქუჩის მხრიდგან, გამოკრული იქმნება 1878 წლის 1 ოქტომბრიდგან 1879 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებულ უმაწვილ კაცთა სია. ვინც შეცდომას შეამჩნევს ამ სიაში, ნება აქვს ეს აცნობოს ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს. იმას, ვინც სიაში არ იქმნება შეტანილი და არც შეატყობინებს ამას საკრებულოს, კენჭის უყრელად წაიყვანენ ჯარის-კაცად. მოსწავლენი ვალდებულნი არიან წარადგინონ სასწავლებლის მოწმობანი და აგრეთვე განცხადება ჯარის-კაცად გაწვევის ვადის გადადებისა.

*** ტფილისის ქალაქს გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ მექუდეებს ნება მიეცეთ წელსაც, როგორც წინა წლებში იყო ხოლმე, ბატკნების დაკვლისა მუხრანის ქუჩის ბოლოში ბარანთან და ავლაბრის ხიდთან ახვერდოვის სახლის ეზოში.

*** „ტფ. ფურ“.-ს სიტყვით, თელავის მამასახლისის თანაშემწე ფ. გ. იონშორი ავადმყოფობის გამო თანამდებობას თავსანებებს.

*** ტფილისში დაიწყო ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთა კრება. კრებას მინდობილი აქვს იმ საგნების განხილვა, რომელიც სამაზრო პოლიციის მოქმედებას შეეხება.

*** შაბათს, 25 მარტს, საღამოს 5 საათზედ მიხეილის ქუჩაზედ ეტლით ტფილისის გუბერნატორი მიდიოდა. როდესაც ეტლი კიროჩნის ქუჩასთან მისულა, უცნობი შემოსძახა „გაჩერეთ, მიშველეთო!“ მიუხტნია და იუსტიციის სამინისტროს ფორმაში გამოწყობილი კაცი კი დაუნახავს. ეს კაცი გაჩერებულ ეტლის საფეხურზედ შემდგარა, აღელვებულის ხმით უაზროდ დაუწყვია ლაპარაკი გუბერნატორისათვის. უთქვამს, სხვათა შორის, რომ ჩემ წინ მდიდარ კაცსა ვხედავ, $1^1/_2$ მილიარდის პატრონს, რომელიც ეხლა ტფილისში სახლებსა ყიდულობსო და სხვა. გუბერნატორს გაუგია, რომ სულით ავადმყოფი ყოფილა, დაუმშვიდებია და პოლიციელისათვის მიუნდვია პოლიციის ნაწილში წაეყვანა. შემდეგ თვითონაც პოლიციაში წასულა. იქ გამოირკვა, რომ სულით ავადმყოფი ტფილისის მცხოვრები წულუკიძე ყოფილა, რომელიც ტფილისის ოლქის სასამართლოს ნოტარიუსთან მსახურებდა. სამი დღე სახლში აღარ მისულა თურმე წულუკიძე და ქუჩებში დადიოდა. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში დააწვინეს.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

25 მარტი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა უკანასკნელი სხდომა 25 მარტს დაიწყო დილის 10 საათზე. წინანდელ სხდომათა ოქმების დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ განსახილველი აღარა არის-რა და უნდა შევუდგეთ არჩევნებსაო.

თავ. გ. ბეგთაბეგოვი. სანამ არჩევნებს შევუდგებოდეთ, საჭიროა კრების მაგიერ მადლობა გამოვუცხადოთ თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის სამსახურისათვის.

ცოტაოდენ კამათის შემდეგ კრებამ, თანახმად დეპუტატთა საკრებულოს წინადადებისა, დაადგინა მადლობა გამოეცხადოს წინამძღოლად ნამყოფს თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის.

შემდეგ თითოეულმა მაზრამ აირჩია სათავად-აზნაურო წინამძღოლად და სხვა-და-სხვა კომისიის წევრებად:

ტფილისის მაზრა: მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად გენ.-მაიორი ი. ბ. საგინაშვილი (50 თ. და 29 შ.); მის კანდიდატად—თავ. მ. ი. ორბელიანი (63 თ. და 14 შ.); დეპუტატებად—ი. გ. თულაშვილი (60 თ. ერთ-ხმად) და გ. ი. ყარალაშვილი (30 თ. და 30 შ.); თავად-აზნაურთა მამულების გამგეობის წევრებად—გ. გ. ქართველიშვილი და ღ. ზ. ბარათაშვილი; საიუბილეო კომისიაში (რომელმაც უნდა მოაწყოს დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეისა) ვ. ა. სარაჯიშვილი; სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში თავად აზნაურობის წარმომადგენლებად—თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, მ. პ. ისარლიშვილი და თავ. გ. ნ. დიასამიძე.

გორის მაზრა: მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად—თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი (43 თეთრი—ერთ-ხმად); მის კანდიდატებად თავ. მ. რ. ერისთავი (40 თ. და 3 შ.) და თავ. ნ. ა. თუმანიშვილი (38 თ. და 5 შ.); დეპუტატებად—თავ. გ. ნ. დიასამიძე (41 თ. და 2 შ.); გენ.-მაიორი კ. ი. მამაცაშვილი (38 თ. და 5 შ.) და თავ. ა. ა. ამირაჯიბი (37 თ. და 6 შ.); მამულების გამგეობაში—თავ. კ. კ. ხერხეულიძე, საიუბილეო კომისიაში გენ.-მაიორი ქ. ი. მამაცაშვილი.

სიღნაღის მაზრა: მაზრის წინამძღოლად თავ. ა. გ. ვაჩნაძე (9 თ. და 8 შ.); კანდიდატებად კენჭი იყარეს—თავ. მ. რ. ვაჩნაძემ და თავ. ნ. ა. ვაჩნაძემ, ორივეს ამოუვიდა შვიდ-შვიდი თეთრი და ათ-ათი შავი; დეპუტატებად—თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილი (12 თ. და 4 შ.) და თავ. ი. ი. აფხაზი (9 თ. და 6 შ.); მამულების გამგეობაში—თავ. ი. დ. ანდრონიკაშვილი და თავ. ვ. დ. ვაჩნაძე; საიუბილეო კომისიაში—ი. რ. ანდრონიკაშვილი და თავ. კ. ე. ვაჩნაძე.

თელავის მაზრა: მაზრის წინამძღოლად თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი (12 თ.—ერთ-ხმად); მის კანდიდატებად—ი. ა. ქობულაშვილი (11 თ. და 1 შ.) და თავ. ა. რ. ვახვახიშვილი (11 თ. და 2 შ.); დეპუტატებად—ზ. ტ. ჯაფარიძე (11 თ. და 1 შ. და ლ. გ. მაყაშვილი (10 თ. 3 შ.); მამულების გამგეობაში—გენ.-მაიორი თავ. ი. ს. ჭავჭავაძე და თავ. ვ. გ. მაყაშვილი; საიუბილეო კომისიაში—თავ. ი. ს. ჭავჭავაძე და თავ. ბ. ო. ჩოლოყაშვილი.

დუშეთის მაზრა: წინამძღოლად გ. ა. ყარანგოზიშვილი (19 თ. და 8 შ.); მის კანდიდატად თავ. ნ. დ. ერისთავი (18 თ. და 9 შ.); დეპუტატებად—ზ. ზ. გედევანიშვილი (25 თ. და 2 შ.) და თავ. ლ. მ. ციციშვილი (24 თ. და 3 შ.); მამულების გამგეობაში—ზ. ზ. გედევანიშვილი; საიუბილეო კომისიაში—თავ. ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი და თავ. ნ. ზ. რატიშვილი.

ბორჩალოს მაზრა: წინამძღოლად—ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (23 თ.—ერთხმად) და თავ. გ. დ. აფხაზი (23 თ.), კანდიდატად გენ.-მაიორი იედიგაროვი; (17 თ. 5 შ.) დეპუტატად ი. შ. შანშიევი (23 თ.); მამულის გამგეობაში გენ.-მაიორი იედიგაროვი; საიუბილეო კომისიაში თავ. გ. ი. ორბელიანი და გენერალ-მაიორი ჰილაშვილი.

შემდეგ დასდგეს ყუთები გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, დეპუტატთა საკრებულოს მდივნისა და მის თანაშემწის ასარჩევად. არჩეულ იქმნენ: გუბერნიის წინამძღოლად ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (136 თ. 8 შ.), მდივნად—ალლამაზოვი და მის თანაშემწედ ჯავრიშვილი, ორივენი ერთხმად.

## სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება

26 მარტი.

კრება დაიწყო დილის $11^1/_2$ საათზედ. საზოგადო კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ხოლო მდივნად გ. ლასხიშვილი. კრებას მოხსენდა ანგარიში, რომლიდგანაცა სჩანს, რომ წარსულ 1899 წელს საზოგადოებას ოპერაცია 6.096,938 მან. ჰქონია, 1.112,256 მან. მეტი წინა წელიწადზედ. კერძო ოპერაციებით ეს მატება ასე განაწილდება: მიმდინარე ანგარიშს 137,768 მან. უმატნია, ვადით და უვადოდ ბანკში შესანახად 99,342 მან. შეუტანიათ, 66,710 მან. მეტი თამასუქები გაუნაღდებია ბანკს და ყველა სახის სესხი 44,979 მან. მეტი გაუცია. ამას გარდა ანგარიში გვაუწყებს, რომ თუმცა ბანკის მოხელეთა რიცხვს მოვუმატეთ ამ წელს და ხარჯიც უფრო დიდი გვქონდა, წმინდა მოგება 6,741 მან. 80 კაპ. დაგვრჩა, ასე რომ წევრნი ყოველს ათ თუმანზედ 7 მან. 24 კაპ. დივიდენდს მიიღებენო.

ა. ქუთათელაძე. ჰირნახულის გირაოზედ ფულის მსესხებლებს 9°/₀ ვახდევინებთ, თუ ამას დავურთეთ და ზღვევის ფული, საკომისსიო და სხვა ხარჯი, გამოვა, რომ სოფლის მეურნეს სესხი 15—17°/₀ უჯდება. კარგი იქმნებოდა, დაგვეკლო ეს °/₀-ი და ამას გარდა იმერეთშიაც დაგვენიშნა აგენტი, როგორც თელავში გვყავს, ოზურგეთში, მაგალითებრ, რომ ამითი გაგვეადვილებინა სესხის

---

ბა, სიმტკიცე და გულ-მოდგინეობა გამოიჩინეს მძარცველებმა ამ ერთხელ ამოჩემებულ აზრის განსახორციელებლად და მსუქან ლუკმის ხელში ჩასაგდებად. საქმე იმითვე დაიწყეს, რომ გაზეთები ერთხმად აალაპარაკეს ამ საცოდავ რესპუბლიკის წინააღმდეგ. ყველა გაზეთი იმას ამბობდა, რომ ბოერების რესპუბლიკის მთავრობა ათას გვარ სიბოროტეს სჩადის, ქრთამებს იღებს, უკანონობის გზას ადგია, უცხო ქვეყნელთ არავითარს უფლებას არ ანიჭებსო და სხვას.

ასეთ წერილების ბეჭდვას ინგლისურსა, ნემეცურსა და აგრეთვე ამერიკულსა და ფრანგულს გაზეთებში 1890 წლიდგან მოუხშირეს. განსაკუთრებით ამ საქმეში თავი იჩინეს სამხრეთ აფრიკის გაზეთებმა. ინგლისის საზოგადოება, კითხულობდა რა დღე მუდამ ბურების უკანონობის ამბებს, თანდათან იმ აზრამდე მივიდა, რომ რაც მალე მოეღება ბოლო ასეთ უკანონობას, მით უკეთესი იქმნებაო. გულ-უბრყვილო კაცები გაკვირვებულნიც კი იყვნენ—მთავრობა რად აყოვნებს და რატომ ამ უკანონობის მოსპობას არ შეუდგებაო; შეუძლებელია, რომ ყველა დასის გაზეთები ერთნაირად სტყუოდნენ და ერთნაირად ავრცელებდნენ ჭორებსაო?

დიაღ შეუძლებელად მიაჩნდათ ასეთის ჭორების გავრცელება, მაგრამ შესაძლებელი-კი აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ სხვა-და-სხვა გაზეთში ამ უცნაურსა და თითქმის დაუჯერებელ ამბებს ავრცელებდა იგივე მძარცველთა საერთაშორისო ბრბო. ამ ვაჟბატონებმა კარგად უწყოდნენ საზოგადოების მოსაბირებლად და მოსატყუებლად რა ძვირფასი იარაღია ყოველდღიური გაზეთები, ამიტომ აარსებდნენ ახალ გაზეთებს, ჰყიდულობდნენ და სუბსიდიას უჩენდნენ ძველ სხვა-და-სხვა მიმართულების გაზეთებს. ჰყიდულობდნენ როგორც კონსერვატორულ, აგრეთვე ლიბერალურ ჟურნალების აქციებს, ხშირად ისეთ დიდად გავრცელებულ ჟურნალებისას, რომლებსაც ჰუმანიურ მიმართულებისა და პატიოსნების სახელი ჰქონდათ გავარდნილი. ხოლო მწერლებადა და გამგეებად იყვნენ და არიან იგივ საერთაშორისო მძარცველნი, ებრაელნი ეკშტეინები, ბეიტები, ბარნატოები, მარკსები და სხვანი მამაცის და დაუცხრომელის როდსის წინამძღოლობით... წერით სხვები სწერენ, მაგრამ იმას-კი, რაც ამათ ჰსურთ და სწადიათ.

„Cape Argus“-ი ეკშტეინს ეკუთვნის; „Cape Times“-ი და „Diamond Fields Argus“-ი—გარრისებს; იმავე ბარნატოსა, როდსსა და ეკშტეინს ეკუთვნით „Iohanesburg Jtar“, „Bulawayo Chronicle“, „Bhodesian Herald“, „African Beview“. ეს გაზეთები სამხრეთ აფრიკაში იბეჭდება. ამ გაზეთების მრავალ-რიცხოვანნი თანამშრომელნი ლონდონისა და პროვინციის, აგრეთვე გერმანიისა და ამერიკის საუკეთესო გაზეთების კორესპონდენტებადაც-კი შეიქმნენ. მაგრამ ამ ვაჟბატონებს არ აკმაყოფილებდა მარტო კორესპონდენციების გაგზავნა ლონდონისა, ედინბურგისა, მანჩესტერის და სხვა ქალაქების გაზეთებში, ამიტომ, გულ მოდგინედ შეუდგნენ უფრო გავრცელებულ და სახელგანთქმულ გამოცემათა შეძენას. „Daily Telegrpas“-ი, ამბობს გობსონი, იმავე ბრბოს ებრაელს ეკუთვნისო; „Financial News“-ი ებრაელს მარქსს, მათვე მეგობარსა და მფარველ-დამცველს პარლამენტში. ასე გასინჯეთ, „Daily News“-იც-კი, ეს ლიბერალთა დასის ორგანო, დიკკენსის მიერ დაარსებული გაზეთი, რომელშიაც სწერდნენ პოლიტიკისა და ლიტერატურის საუკეთესო მოღვაწენი, იმათ ხელში აღმოჩნდა; ამ გაზეთის უმთავრესნი მეაქციენი, თითქმის მესაკუთრენი ებრაელნი არიან. როდესაც ყოველივე ესშეიტყეს, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ინგლისის მოწინავე კაცები, ამ ოდესღაც საუკეთესო, პატიოსან და პატივცემულ გაზეთის საზიზღარ ყოფა-ქცევას რა ედვა სარჩულად.

არსებობს ლონდონში გამომცემელთა ახლად შემდგარი ფირმა გამსვორტისა. რამდენისამე წლის წინად უცნობი პროვინციელი ჟურნალისტი გამსვორტი, ეს როდსისა, ბარნატოს და ეკშტეინის აგენტი, დღეს ერთი მდიდარი გამომცემელთაგანია ლონდონში. იმას ეკუთვნის სიზიზღარი, მოუსვენარი ყოველდღიური გაზეთ „Daily Maille“. ეს გაზეთი საბაზრო გაზეთია, ჭორიკანა და ტალახიანი. იგივე გამსვორტი მრავლად ჰბეჭდავს იაფ ფასიან საბაზრო წიგნაკებს. ეს ფირმა არამც თუ თვით არა ჰხოგავს შრომასა და მხარს უჭერს ბარნატოს, როდსისა და მთლად ამხანაგობას, არამედ სხვა გამომცემელთაც ძალას ატანს დაიცვას ძარცვა-გლეჯა და მტაცებლობა.

მოუსყიდველ გაზეთთა შორის იყო ერთი, ყველაზედ მეტად გავრცელებული რადიკალური გაზეთი „Daily Chronicle“. ეს გაზეთი ჭეშმარიტებას ემსახურებოდა, ბოერების მხარს იჭერდა და დაურიდებლად აშკარავებდა მჭიდროდ შეკავშირებულ კაპიტალისტთა შეთქმულობას, ძალ-მომრეობას, მონობის შემოღებასა და სხვას. „D. Chronicle“-ს პატრონს ლლოიდს (Lloyd.) საკუთარი ქაღალდის მკეთებელი ქარხანა აქვს, საიდგანაც გამსვორდის ფირმას რამდენისამე ასი ათას მანეთის ქაღალდი მიაქვს. აი სწორედ ამ ვაჟბატონმა გამოუცხადა ლლოიდს, თუ შენი გაზეთი კიდევ მხარს დაუჭერს ბურებს, ქარხნიდგან ქაღალდს აღარ დავიკვეთავო. „D. Chronicle“-ს რედაქტორმა გაზეთს თავი დაანება. ლლოიდს შეეშინდა გაკოტრების და იძულებული გახდა გამომშვიდებოდა ისეთ პატიოსან ჟურნალისტებს, როგორებიც იყვნენ რედაქტორი მასსინგამი, საეკონომიო განყოფილების გამგე ვოგან ნაში და საპოლიტიკო კორესპონდენტი ნევინსტი.

ასეთია კაპიტალიზმის საერთაშორისო შეთქმულობა, რომელმაც აწინდელი დამამცირებელი და სისხლის მღვრელი ომი გამოიწვია.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალების საქმე. მაშინ უფრო მეტნი დააგირავებენ ჩვენს ბანკში სოფლის ნაწარმოებს და ამ მხრივ მკვიდრთ დიდს შემწეობას აღმოვუჩენთ. ეხლა კი სჩანს, რომ ამ ოპერაციის შარშანდელთან შედარებით 1.718 მან. 47 კაპ. უკლია.

გ. დ. ჟურული. ანგარიშში ნათქვამია, რომ თუმცა ფულის ბაზარი დიდს გაჭირვებაში იყო, ჩვენი საზოგადოება თავისის შეძლებით აკმაყოფილებდა სესხის მსურველთ და სხვას იშვიათად სთხოვდა ხოლმე დახმარებასაო. რას მივაწეროთ ესა? იქნება ამისი მიზეზი ის არის, რომ ფულის შემომტანთ ჩვენ დიდს სარგებელს ვაძლევდით და მსესხებელთაც დიდს სარგებელს ვახდევინებდით? რაც შეეხება იმას, რომ სასოფლო ნაწარმოები ცოტა დაუგირავებიათ, ამისი მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ჯერ ხალხი შეჩვეული არაა ასეთს კრედიტს, სასოფლო ნაწარმოების დაგირავების საქმე ელევატორებისა და სხ. უქონლობით გაძნელებულია.

ა. ს. ფირალოვი. საზოგადოების აგენტები უნდა დადიოდნენ და უხსნიდნენ ხალხს, რა წესით შეუძლიანთ სესხის გატანა ჩვენის ბანკიდგან. ამას გარდა ბანკს საწყობი უნდა ჰქონდეს და მაშინ ადვილად შეუძლიან დაიგირაოს ისეთი სასოფლო ნაწარმოები, რომელიც არა ფუჭდება, მატყლი, მაგალითებრ.

პ. ი. ყიფიანი. ქირნახულის დაგირავებას ხელს ისიც უშლის, რომ აგენტს მცირე ჯამაგირი ჰქონია—300 მან. და გზის ხარჯს დამგირავებელი იხდის. აგენტი თავისუფალი უნდა იყოს ყოველ სხვა სამსახურისაგან, რომ შეიძლოს ამ საქმის პირ-ნათლად გაძღოლა.

გ. ს. განძაელი. უფრო ის უჭირებს საქმეს სოფლის მეურნეს, რომ ჩვენ სესხს მაშინ ვაძლევთ, როდესაც სასოფლო ნაწარმოები მზადა აქვს, მოსავალი მოკრეფილია და მისი გაყიდვაც შეუძლიან. ამ დროს კი იმისათვის ისე არ არის საჭირო ფული. სოფლის მეურნეს ფული აპრილსა, მაისსა და თიბათვეში უჭირს და აბა საიდგან დააგირავოს სოფლის ნაწარმოები ამ დროს?

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ 9% დიდი სარგებელი იყოს, მე კრებას საცნაურად გაუზიარებ კახეთის მევინეთა და მევენახეთა დადგენილებას. განიხილა-რა ამ მხრივ ჩვენის ბანკის მნიშვნელობა, კრებამ სასურველად იცნო მომატებულ იქმნას აგენტთა რიცხვი, თუნდა ამის გამო ბანკმა სოფლის ნაწარმოების დამგირავებელთ 9%-ზედ მეტი სარგებელიც გარდაახდევინოს. 9% სოფლის მწარმოებლისათვის დიდი არ არის, რადგან ალაგობრივ ხშირად 25—30%-ად სესხულობენ ფულს. ამასთან კრების ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ წესდების ძალით ჩვენმა—სოფლის მეურნემ, რაც უნდა მეტი სასოფლო ნაწარმოები შემოიტანოს გირაოდ, ბანკი იმ რაოდენობაზედ მეტს ფულს ვერ მისცემს სესხად, რაც გარდაწყვეტილი აქვს წევრს კრედიტად. კარგი იქნება, რომ ეს §-ი წესდებისა (§ 34) შეიცვალოს.

თ. გ. ს. მიქელაძე. აქა სთქვეს, რომ წევრთ ქირნახულზედ გატანილი სესხი ძვირად უჯდებათო. ეს მართალი არ არის. ჩვენ ვახდევინებთ ქირნახულის დამგირავებელს 9%-ს, თამასუქის გამნაღდებელთ 9½%-ს. ეს ნახევარი %-ი ჩვენ სოფლის მეურნეთა სასარგებლოდა გვაქვს დაკლებული. სახელმწიფო ბანკიც-კი სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდების დამგირავებელთ 8½% ახდევინებდა და 8%-კი ჩვეულებრივი ამბავი იყო. გაიხსენეთ, რომ სოფლის ქირნახულზედ %-იანი ქაღალდები უფრო ადვილი და კარგი დასაგირავებელია და უფრო საიმედო გირაოც. 9%-ი ბანკს გარეშე ძალიან მცირე სარგებლად ითვლება, რადგან სოფლებში და, არა თუ სოფლებში, ქალაქშიაც ჩვეულებრივ ვაჭარნი 15—20% იხდიან სესხში. ამ გვარად საყვედური, რომ ვითომ დიდს სარგებელს ვახდევინებდეთ, სამართლიანი არ არის. აქა სთქვეს, რომ სოფლის მეურნენი ვერა სარგებლობენ ამ სესხით. ძალიან საწუხაროა, მაგრამ ამისი მიზეზი დიდი სარგებელი და ბანკი-კი არ არის, არამედ მრავალი დაბრკოლება, რომელიც ქირნახულის გირაოდ ალების საქმეს წინ ელობება. რაც შეეხება აგენტების ყოლას, საგანგებო აგენტების მოწვევას დიდი ხარჯი უნდა. ყოველ ადგილას რომ მუდმივი აგენტები ვიყოლიოთ, ამას 10—15,000 მან. დასჭირდება და ასეთს ხარჯს-კი ჩვენი ნორჩი და ახლად ფეხ-ადგმული ბანკი ვერ გასწვდება. არამც თუ ჩვენ, ტფილისის საკომერციო ბანკმაც ვერ დაინახა შესაძლებლად საკუთარის აგენტების ყოლა. აგენტის გზის ხარჯი დამგირავებელს არ უნდა ერთმეოდესო, სთქვა ბ-ნმა პ. ი. ყიფიანმა. გაიხსენეთ, რომ საადგილმამულო ბანკებიც-კი დამფასებლის ხარჯს ახდევინებენ. აგენტების მოწვევის საქმესთან უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ თითოეულს ადგილას თითო აგენტის დანიშვნა არა კმარა, ორ-ორი უნდა დაინიშნოს, რადგან ერთი რომ ქირნახულის დასაფასებლადა და თავისის მაზრის მოსავლელად მიდის, მეორე ალაგობრივ უნდა იყოს ვექსილების გასანაღდებლადა, მთხოვნელებთან მოსალაპარაკებლად და სხ. ესეც ადიდებს აგენტების ყოლის ხარჯს. ბ-ნმა გ. ჟურულმა სთქვა, რომ ფულის შემომტანთ დიდს სარგებლობას ხომ არ ვაძლევთო. ეს ასე არ არის. მიმდინარე ანგარიშით ფულის შემომტანთ ვაძლევთ 3% როგორც საკომერციო ბანკიც, ½ წლის ვადით ფულის შემომტანთ—4%-ს, ერთის წლისა და მეტის ხნით ფულის შემომტანთ—5½%, საკომერციო ბანკი-კი აძლევს 5 და 4½%-ს. თუ სარგებელს მეტს ვახდევინებთ მსესხებლებს, ამისი მიზეზი ის გარემოებაა, რომ ჩვენი ბანკი ჯერ ნორჩი დაწესებულებაა და სოფლის მწარმოებელთათვისაც, რომელთანაც აქვს საქმე ჩვენს ბანკს, ეს %-ი დიდი არ არის.

ი. ქუთათელაძე. აგენტების ყოლა-კი ყოვლად საჭიროა. თუ აგენტები არა გყავთ, შეიძლებოდა გამგეობის ერთ-ერთ წევრს მოევლო ესა თუ ის ადგილი და ერთის ან ნახევარ თვით წასულიყო ბანკიდგან. მაშინ საქმეს იგი უკეთ გააკეთებდა, ვიდრე აგენტები აკეთებენ, და მრავალიც დააგირავებდა სოფლის ქირნახულს ჩვენს ბანკში. თუ-კი კიევის საკომერციო ბანკმა გამოჰგზავნა ქუთაისში კაცი სასოფლო ნაწარმოების დასაფასებლად და გირაოდ ასაღებად, ნუ თუ ჩვენ ტფილისიდგან ვერ უნდა მოვახერხოთ ესა. ქირნახულის გირაოდ ალების საქმე უკედ წავიდოდა, რომ, ღვინო-კი არა, რომელიც ადვილად ფუჭდება და ძნელი შესანახ-მოსავლელია, გირაოდ ავიღოთ ხოლმე თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი და სხვანი.

კამათის დასასრულს კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობას შემუშავებული მოხსენება წარმოუდგინოს წევრთა საგანგებო კრებას იმის შესახებ, თუ როგორ გაუმჯობესდეს და განწეს-რიგდეს ქირნახულზედ გირაოს გაცემის საქმეო.

ამის შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

(დასასრული იქნება)

## მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენების საზოგადოების წევრთა კრება.

კვირას, 26 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში შესდგა კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების წევრთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა სენატორი ს. ბ. კრასკო. კრება დაიწყო ნაშუადღევის 1 საათზედ. პირველად წაკითხულ იქმნა გამგეობის წარსულის 1899 წლის მოქმედების ანგარიში. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ საზოგადოების საქმე თანდათან უკეთ მიდის. სხვათა შორის ანგარიშში მოხსენებულია მანთაშევის უკვე შეწირულება 20000 მან. ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენში მოსამსახურეთათვის ორ სართულიან შენობის ასაგებად. როგორც ამავე ანგარიშიდგანა სჩანს, გამგეობას საჭიროდ უცვნია ავჭალის ახალშენში ბავშვებს ხარაზობის მაგიერ ზეინკლობა ასწავლონ, რადგანაც ცხოვრებაში ეს ხელობა უფრო გამოსადეგია. გამგეობა აგრეთვე შესდგომია მტკვრიდგან ახალშენში წყლის მილის გამოყვანას, რაც 8000 მან. დაუჯდება საზოგადოებას.

შემდეგ წაკითხულ იქმნა საზოგადოების 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოების შემოსავალს შეადგენს წევრთა საწევრო გადასახადი, შემოწირულებანი და სხვანი. წარსულ 1899 წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია სულ 29,674 მან. 91 კაპ. და ხარჯი-კი—21,801 მან. 90 კაპ. ასე რომ ამ მიმდინარე 1900 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოებას ჰქონია სულ 8,873 მან. 1 კაპ. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობის ანგარიშით 1900 წელს საზოგადოებას შემოსავალი ექმნება სულ 24,922 მან. 91 კაპ. და მოსალოდნელი ხარჯი კი სულ 24,722 მანეთია. საზოგადოებამ როგორც 1899 წლის გასავალ-შემოსავლის ანგარიში, აგრეთვე ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმად დაამტკიცა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის მდგომარეობის ანგარიში. 1899 წელს ახალშენში ყოფილა 47 ბავშვი, ამათში მართლ-მადიდებელი 32 ბავშვი და დანარჩენი სხვა და სხვა სარწმუნოებისა, თავად-აზნაური ყოფილა 2, მოქალაქე —20, გლეხი—22, და ჯარის-კაცის შვილი—1; ქართველი—19, რუსი—15, სომეხი—8, ებრაელი—2, ლეკი 1, თათარი—1 და სპარსელი—1. დასასრულ კრებამ დაადგინა ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლავიანე და ბ-ნი მანთაშევი და შეიწყნარა ავჭალის ახალშენის დირექტორის ჭყონიას თხოვნა დირექტორის თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ. კრება ნაშუადღევის 2½ საათზედ დასრულდა.

## მეთამბაქოეთა გაჭირვება

ეს მესამე კვირაა რაც ტფილისში თამბაქო ჩამოიტანეს ქიზიყელებმა, დღემდის გულ-ხელ დაკრეფილი უცდიან მის გაყიდვას, მაგრამ ამაოდ, ვერ გაუყიდნიათ. ვერ გაუყიდნიათ იმიტომ-კი არა, რომ თამბაქოს მუშტარი არა ჰყავს, არამედ იმიტომ, რომ ვაჭარი მეტად მცირე ფასს აძლევს. წარსულ წელს თამბაქოს მოსავალი ქიზიყში ძლიერ ნაკლები იყო გვალვის გამო, ასე რომ თამბაქოს მომყვანს ადგილობრივ ფუთი ორთა შუა რიცხვით ხუთი მანეთი უღირს. ამას მიუმატეთ ჩამოსატანი და ტფილისში შესანახი ხარჯი. წელს ფურგუნის ქირამაც აიწია და ფუთი სიღნაღიდგან ტფილისამდე ექვს შაურ ნაკლებ არ მოჰქონდათ, ტფილისის საწყობებში თითო ფუთზე იხდიან აბაზს, დალალიც გაყიდვის დროს ცალზედ (ცალი 2 ფუთიდგან 3 ფუთამდეა) იღებს ორ შაურს, თვით პატრონების ხარჯიც რომ გაიანგარიშოთ ტფილისში და გზაში, გამოვა, რომ ქალაქში ჩამოტანილი საქონელი ფუთი ექვს მანეთზედ ნაკლები არა ჯდება. ხოლო დღეს ვაჭარი ფუთში ხუთიდგან ექვს მანეთამდე აძლევს და იმასაც დიდის უკმეხობით. რომ გაიანგარიშოთ თვით ფაბრიკის ხარჯი ერთი ფუთის თუთუნის მომზადებისა, გაიანგარიშოთ ერთმანეთზედ პირველ, მეორე და მესამე ხარისხის თუთუნს როგორ ჰყიდიან კავკასიის ფაბრიკები, დაინახავთ, რომ ფაბრიკის პატრონი ყოველ ხარჯს გარეთ ჩვენებურ ერთს ფუთს თუთუნში იგებს თვრამეტ მანეთს ნაღდ ფულს. დღეს ვაჭრობისა და სამრეწველო სამინისტროში წარდგენილია დასამტკიცებლად პროექტი, რომლითაც თუთუნის ბანდეროლის ფასი შემცირებულ უნდა იქმნას და თუ ჩვენებურ თუთუნის ბაზარი ისევ იმავ მდგომარეობაში დარჩა, როგორც ამ სამი ოთხის წლის განმავლობაში იყო, მაშინ ცხადია, რომ ფაბრიკების მოგება შესამჩნევად იმატებს.

იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ჩვენებური თამბაქოს მომყვანნი არიან ჩაყენებულნი, არ შეუძლიათ მათ მეტოქეობა გაუწიონ რუსეთის შიდა გუბერნიების თუთუნის მომყვანთ. მუშა ხელი ჩვენში ერთი ორად მეტი ღირს, ვიდრე, მაგალითად, ნოვოროსიიაში, სადაც დიდძალი თამბაქო მოჰყავთ და სადაც მამაკაცების მაგიერ ქალები მუშაობენ, რომელთა სამუშაო ფასი ერთი ორად ნაკლებია. მეორეც ესა, ნოვოროსიასა და რუსეთის სხვა ადგილებში, სადაც თუთუნი მოჰყავთ, რუსეთის ფაბრიკის პატრონები მიდიან სავაჭროთ, ჩვენში-კი თუთუნის ბაზარი მხოლოდ ოთხი ხუთი ფაბრიკის პატრონის და ჩარჩის ხელშია.

წელს პეტერბურგში წაიღეს საცდელად ქიზიყური თამბაქო რვა ასი ფუთი. იქ გასინჯავენ და ეს გასინჯვა უჩვენებს რუსეთის ფაბრიკის პატრონებს რამდენად ხელსაყრელია კავკასიურ თამბაქოს ხმარება იმათს ფაბრიკებში.

შარშან ზაფხულში ქიზიყში მეთამბაქოეთა კრება მოხდა და ამორჩეულ იქმნა კომისია თამბაქოს საქმის გამოსაკვლევად იმ აზრით რომ რაიმე ღონისძიება ყოფილიყო ხმარებული მეთამბაქოეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნეტა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია ამ კომისიის საქმე...

ი. ხ—ლი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მარტი

**ლონდონი.** მეფეკინგიდგან „Daily News“ 17 მარტს დეპეშით ატყობინებენ, რომ ქალაქს გარშემო ჯერ კიდევ 20,000 ბური სდგასო. დღეს ქალაქს ზედიზედ ესროდნენ ზარბაზნებს. აქ ჰფიქრობენ, რომ ჯარი, რომელიც მეფეკინგის განსათავისუფლებლად არის გაგზავნილი, უკვე დაუახლოვდა ქალაქსაო.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ 4-ს აპრილს ბლუმფონტენიდგან: „გუშინ საკმაოდ დიდი ჯარი მტრისა ბუშმანსკოპის მხრივ გამოჩნდა, ბუშმანსკოპში ჯერ ისევ მოდარაჯე ჯარი სდგას, სახელდობრ, კვირნალდის ამხედრებული ქვეითა ჯარის ერთი რაზმი. ბურების ჯარის-კაცთა ცალკ-ცალკე წყებებმა თოფები დაუშინეს ჩვენს სადარაჯო ადგილებს; მაგრამ დღეს დილით გამოირკვა, რომ ბურებს სწადიანთ გარს შემოუარონ ბლუმფონტენის მარჯვენა მხრიდგან. დღეს დილით ბუშმანსკოპში ისმოდა ზარბაზნის ხმა სამხრეთიდგან.

**ლონდონი.** „Daily Nesw“-ს პრეტორიიდგან დეპეშით ატყობინებენ 20-ს მარტს: „პოლკოვნიკ პლუმერზედ, რომელიც მეფეკინგისაკენ მიდიოდა, ბურებმა იერიში მიიტანეს და ინგლისელები იძულებულ ჰყვეს უკან დაეწიათ. ოცი კაცი მოუკლეს და ცხრამეტი დაუჭრეს. ბურების მხრივ მოკვდა ერთი და დაიჭრა ორი. ამავე დროს პოლკოვნიკი ბადენ-პოუელი ქალაქიდგან გამოვიდა და შეუტია ბურებს, მაგრამ ინგლისელები აქაც უკუ-ქცეულ იქმნენ.

ბლუმფონტენიდგან „Daily News“-ს ატყობინებენ 22 მარტს: „გენერალ კლემენცის დივიზიამ, რომელიც 6,000 კაცისაგან შესდგება, დღეს ბლუმფონტენზედ გაიარა და თხუთმეტის დღის განმავლობაში მოძრაობის შემდეგ დროებით დაიბანაკა ქალაქიდგან ხუთის მილის მანძილზედ, ჩრდილოეთით.

როგორც „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან 22 მარტს: „პრეზიდენტი შტეინი დაუნიშნავთ ორანჟეს რესპუბლიკის ჯარის მთავარ-სარდლად.

**პრაღა.** საერო განათლების კომისიას სეიმმა გადასცა წინადადება, რომელიც შეეხება რუსულის ენის სწავლების შემოღებას ტეხნიკურ და საშუალო სასწავლებლებში. ნემცები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას. შამანეკმა განაცხადა, რომ რუსულის ენის სწავლება სასწავლებლებში საჭიროა პოლიტიკურ, სამრეწველო, სახელოსნო და სავაჭრო მოსაზრებათა მიზეზითაო; რუსეთი ჯერ კიდევ კარგს ნიადაგს წარმოადგენს ტეხნიკებისა, მრეწველებისა, მოვაჭრეთა და აგრეთვე ბოჰემიის საქონლის გასატანად. გრაფი შენბერგი, რომე-

ლიც წარმომადგენლის დიდ შემამუ-ლეობა კონსერვატიულ ფრაქციისა, წინადადება იყო წინადადებისა და თავის მხრივ განაცხადა, რომ რუსულის ენის სწავლება მხოლოდ რეალურ სასწავლებლებში შემოიღოთ და იქაც მისი შესწავლა სავალდებულო ნუ იქნებაო.

**ბაზაბ.** პირველმა პალატამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ 41 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ერთისა მიიღო პროექტი, რომელიც შეეხება საერთაშორისო კონვენციას სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

**პრეტორია.** ორანჟის რესპუბლიკის რაადის კრება პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ გადაიდვა შემდეგისათვის.

**კარნარვონი.** ინგლისელებმა ხელახლად დაიჭირეს უპინგტონი. ეს მხარე დამშვიდებულია.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება 23 მარტს: „დღეს დილით მეტუენი დეპეშით გვატყობინებს ბოსჰოფიდან, რომ გენერალ მარტონს და ბურების ჯარს გარს შემოარტყა, ვილმოეს მოუკლეს შიდი მური, რვა რაუნდს და 54 ტყვე წამოიყვანეს; ინგლისელების მხრივ ოთხი მოკლული და შიდი დაჭრილი.

რობერტსის მეორე დეპეშა, 23 მარტს საღამოს 9 საათზე გამოგზავნილი იუწყება: „ვიშიშობ, ჩვენი სამი რაზმი ქვეითთა ჯარისა და ორი რაზმიც ამხედრებულ ქვეითა ჯარისა როდესბერგთან ბურებს არ მოუწყვდითო. იქ ბურების მრავალ-რიცხოვანი ჯარი იყო, ხუთის თუ ექვსის ზარბაზნით. ინგლისელები 21-ს მარტიდგან 22 მარტის დილის ცხრა საათამდინ გამაგრდნენ; უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ მტერს დანებდნენ“.

რობერტსმა 21 მარტს საღამოთი რა მწვა დეპეშა მიიღო ომის შესახებ, გატაკრ უბრძანა სწრაფად წასულიყო სპრინგფონტეინიდგან რუდენსბურგში. ამის გარდა, რობერტსმა გაგზავნა ბლუმფონტეინიდგან მთანიისკენ ჯარი. როდერსბერგში დილის $10^{1}/_{2}$ საათზე მივიდა, მაგრამ ვერაფერი ვერა შეიტყო-რა ქვეითა ჯარისა. ყოველ მხეს გარეშე, რომ ეს ჯარი ტყვედ წაუყვანიათ ბურებს.

**ლონდონი.** ოფიციალური. კირინსტრუიტიდან მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა 3 კაცი, დაჭრილ—80, ამთაგან მოკვდა 5. 352 უკვალოდ დაიკარგა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. უინდემი ამტკიცებს, რომ ინგლისელებმა 10 მარტამდის სულ 5,000 კაცი ჩაიგდეს ტყვედაო. ტყვე ინგლისელთა საერთო რიცხვი ჯერ არ ვიციოთ. უკვალოდ დაკარგულთა და ტყვედ წაყვანილთა რიცხვი 18 მარტამდე 3,466 კაცი იყოო.

26 მარტი

**ლონდონი.** რობერტსი ბლუმფონტეინიდგან 24 მარტს იუწყება: „როდესბერგთან ინგლისელებს მოუკლეს 2 ოფიცერი, 8 ჯარის-კაცი, ორი ოფიცერი მძიმედ დაიჭრა, 32 ჯარის-კაცი ოდნავ მსუბუქად. ტყვედ წაიყვანეს 9 ოფიცერი და დანარჩენ ჯარი. მტრის ჯარის რიცხვი 3,200 კაცი იყო 5 ზარბაზნით, ინგლისელის ჯარის-კაცი 167 ცხენოსანი და 424 ქვეითა ჯარის-კაცი შედგენილიყოს“.

**მასსერუ.** ბაზუტოა შორის არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. ბაზუტოები შიშობენ, ბურებმა მათ სამხედროშიდ არ გაიარონ, ინგლისელების ზურგიდგან მოსვლელადაო.

**ვარრინგტონი.** ინგლისის ჯარმა ბურებს დიდი ზარბაზნები დაუშინა ფორტისტერიმიან. ბურები გაეცალნენ იმ ადგილს და ჯაგნარებს შეეფარნენ, სადაც ყუმბარა ვერ მისწვდება.

**ლონდონი.** ალივარნორტიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ ირლანდიელ მსროლელთა ჯარი რუვეველიდგან ბეტერკრაალისაკენ იწევს. ამბობენ, რომ ბურების ჯარი მდის რუკევილლზე აღმოსავლეთიდგან და დაალუვიდამ. ორანჯის მდინარესთან ალივალნორტის ქვეით, 16 მილის სიშორეზე, ბურების რაზმები შეუნიშნავთ.

**კაპშტადტი.** სიმონსტოუნში დატყვევებულთაგან ოცდა ათი კაცი გაქცეულა.

**ბაბაბ.** დედოფალმა წერილით განუცხადა ქუეფის ქვრივ სამძიმარი.

**ჯიბუტი.** 7 მარტს დიგდიგორაბადესთან ბრძოლა მოხდა. ხარარის კრისტენთა გუბერნატორმა 2,000 ბაშბაღიბნი დაამარცხა. მენელიკი 8,000 ცხენოსანსა ჰგზავნის მისაშველებლად.

27 მარტი

**პეტერბურგი.** მისის უდიდებულესობის დანიის მეფის დაბადების წლის თავის გამო საზეიმო სასახლეში უმაღლესი საუზმე იყო გამართული. საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა დანიის მეფის სადღეგრძელო დალია.

**ლონდონი.** რიოგორკე 25 მარტს აურალდგან მოსული დეპეშა იუწყება, კუმასსის ერთს სიმაგრეთაგანში უნდა იყოს გუბერნატორი თავისი მეუღლით. ორი ოფიცერი მოკლულია. აშანტის ტომის ამბოხების შესახებ ჯერ დაწვრილებითი ცნობები არ არის მოსული.

**სიმონსტაუნი.** წარსულს ღამეს სულ ცოტა 30-მდე ტყვე გაიქცა, რომელთაგან ექვსი მაშინვე დაიჭირეს და სამი-კი შემდეგ. მოხელეებმა აღმოაჩინეს ახალი სრულიად მოთავრებული გვირაბი მდინარის ნაპირას.

**ბლუმფონტეინი.** იუწყებიან, რომ საკმაო რიცხვი ბურებისა ემუქრება რკინის გზას, რომელიც კარგად არის დაცული. ინგლისის სიმაგრეებს სპრინგფილდთან, აქედგან 8 მილის მანძილზედ, თავს დაესხნენ ბურები, რომელნიც წყლის მილის მხრიდგან წამოვიდნენ. რკინის გზის ხიდი გლენთან დამიავრებულია და ცხლა ოცლებს აწყობენ.

**ბოსჰოფი.** მეტუენის მიერ დატყვევებულთა დიდი რიცხვი ფრანცუზები აღმოჩნდნენ. ვილბუას გვამი დღეს დაასაფლავეს სამხედრო წესი-რიგით.

**ბლუმფონტეინი.** დღეს აქ მოიყვანეს პრეზიდენტის შტეინის ძმა, რომელიც კარგას ახლოს დაუჭერიათ ტყვედ.

პრეტორიიდგან მოსული ცნობები იუწყება, რომ ინგლისელებთან თავის წლის მიღმით ბრძოლაში, ბლუმფონტეინის ახლო, წაურთმევიათ 11 ზარბაზანი და ორი ფურგუნი სამხედრო სამზადისით.

**ვარშავა.** ერთს ქალაქს ახლო სოფელში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბის ოქროს ხუთ-მანეთიან ფულის ქარხანა, რომელიც გაუმართავს არა ერთხელ დანაშაულის ჩამდენს და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშე მყოფს პერელმანს. იპოვნეს ქარხნის მოწყობილება, მასალა და დამზადებული ყალბი ფული. დაპატიმრებულმა განაცხადა, რომ ჩემი საყვარელი ქალი, რომელიც ამ საქმეში ჩემთან ერთად იღებდა მონაწილეობას, რუსეთის ქალაქებში წავიდა ყალბის ფულის გასასაღებლადო.

**გეთანია.** ტყვედ წაყვანილს ხუთ როტას უცბათ მოასწრო მტერმა დევეტსდორპთან, სმიტფილდს ახლო ჯარს თან ზარბაზნები არა ჰქონდა. რედესბერგი კვლავ ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში.

**კონსტანტინეპოლი.** ხინოვიევმა სულთანს სამძიმარი გამოუცხადა ოსმანიფაშას გარდაცვალებისა გამო.

**კოპენჰაგენი.** უელსის პრინცი მეუღლითურთ ინგლისის ეკკლესიაში მისას განსაცდელისაგან ბედნიერად გადარჩენის გამო გარდახდილს ღვთის მსახურებას დაესწრო. აქავე გარდახდილ იქმნა პარაკლისი დანიის მეფის სადღეგრძელოდ, რომელიც დღეს 82 წლისა შესრულდა.

**ნიცცა.** სენატორად ამორჩეულ იქმნა რესპუბლიკელი, გენერალი ბერანჟე.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის ნომერში, სხვათა შორის, არის დაბეჭდილი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების ამბავი, რომელშიაც მოხსენებულია, ვითომც მე და ზოგიერთნი სხვანიც ვთხოულობდით, რომ დამფუძნებელ თავად-აზნაურთა დაუბრუნდეს თავისს სარგებლით შეტანილი მათგან თანხაო. ეს სრულიად ეწინააღმდეგება ჩემ წარმოთქმულ აზრს. არაოდეს, არც წინად და არც ეხლა მე არ ვეკუთვნოდი იმ ჯგუფთა, რომელნიც ამტკიცებდნენ ამ ფულის დამფუძნებელთათვის დაბრუნებას. მე ყოველთვის ვამტკიცებდი და კრებასაც ის მოვახსენე, რომ ჩვენ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს შევეხოთ იმ ფულსა, რომლიდგანაც განსვენებული და დაუვიწყარი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის მეოხებით ეს თანხა შესდგა ჩვენის შვილების და შვილი შვილების აღსაზრდელად. ამის დასამტკიცებლად მე კრებას წარვუდგინე და წაუკითხე განსვენებულის ყიფიანის მოწოდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიმართ, რომელზედაც კრინტი არ იყო აღძრული თქვენს ივერიაში. მაშ თუ ასე გახლდათ ეს ამბავი, როგორც ცნობის ფურცელმაც მოკლედ და სინამდვილით აღნიშნა ჩემგან წარმოთქმული აზრი იმავე დღის ნომერში, თქვენმა გაზეთმა რად დაამახინჯა და სხვა მიმართულება მისცა ჩემგან წარმოთქმულს აზრსა? ნუ თუ იმისთვის, რომ მე წინააღმდეგი ვიყავ და გახლავართ, რომ ამ თანხიდგან ერთი ნაწილი დივიდენდათ გადაიღოს და სხვა და სხვა ჯიბეებში ამოყოს თავი?

თ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

1 აპრილი.

საქმე ანტონ გელაშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1489 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

არტემ მირაქოვისა, რომელსაც გაძარცვა ბრალდება.

თედორე დანელიასი, რომელსაც გაძარცვა ჰბრალდება.

მიხეილ ზარიძისა, რომელსაც სიყალბე ჰბრალდება.

გაბო გებუაძისა, რომელსაც ყალბის ვერცხლის ფულის კეთება ჰბრალდება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

დიოდიმე ჯინორიასი, დათა კორძახიასი და მარინე რუბენიასი, რომელთაც ფიცით ცრუ მოწმობა ჰბრალდებათ.

ივანე კოკაშვილისა, რომელსაც მამის მოკვლა ჰბრალდება.

ილია ბექანაშვილისა და ივანე წილაკაშვილისა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

---

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 3 აპრილისათვის, ნაშუადღევის 12 საათზედ, გამგეობისავე დასწრებით, დანიშნულია მეორედ

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს ოთხი დუქანი ბაზრის ქუჩის ბოლოში ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 28 მარტს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ჯირგინის მილის გამართვის საქმე ოლგას ქუჩიდგან იმ ონკანამდე, რომელიც კირპიჩნის ქუჩაზეა, სიგრძით 200 საჟენი, ღირებულობით 5000 მანეთამდე.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)




(50—267—19)

დასასრული
## ქართლის ცხოვრებისა
მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი ორი აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

პუშკინის ფოტოგრაფია
## ა. ს. ნორდშტეინისა,
რომელიც 1892-დან 1899 წლამდე რონისის ფოტოგრაფიას განაგებდა, აკეთებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს.
სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა.
სამხედრო წოდების პირთ და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი გამოერთმევათ.
ტფილისი, პუშკინის ქ., წურინოვის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.
(30—44—19)

**ძმათა თავართქილაძეების** წიგნის მაღაზიებმა—ბათომსა, ოზურგეთსა და ახალ-სენაკში მიიღეს პასხალიდის ბერტეს და სხვ. ფირმების, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებული,

## აბრეშუმის თესლი.

ფასები თითო ყუთისა (6—7 მისხალი) 1 მ. 60 კ. დაწყებული 2 მ. და 20 კაპეიკამდე. (5—6.—3)

## ნ. ა. საბაევის მაღაზია

აცხადებს, რომ რადგანაც ბევრი საქონელია ამ ჟამად მაღაზიაში თავმოყრილი და მრავალია აგრეთვე ცალ-ცალად, რაც დიუჟინს არ ავსებს და მთელს სერვიზსაც არ შეადგენს,

**15 მარტიდგან 9 აპრილამდე მოხდება**

## დიდი ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი: ფაიფურისა, ფაიანსისა (ქაშანურისა), შუშისა; სერვიზი: სადილისა და ჩაისა. ლამპრები და მელქიორიდგან გაკეთებული ნივთები, ოჯახისთვის საჭირო ნივთები.

— სხვა-და-სხვა აგეჯეულობა. —

გაიყიდება ყველა ეს საქონელი ნამდვილის ფასის 25%-დგან 50%-ამდე დაკლებით.

ჩემს მაღაზიაში დანიშნული ვაჭრობა არაფრით არა ჰგავს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირად იმართება სხვა მაღაზიებში. ჩემს მაღაზიაში ვაჭრობა მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ბევრი საქონელი შეიკრიბა და მრავალია დიუჟინ და სერვიზ-შეუსრულებელი.

ვაჭრობა ცალკე განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ სადგომში მოხდება ოგლობლინის ქუჩაზედ, ჩემის აგეჯეულობის მაღაზიის გვერდით.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უყურადღებოდ არ დამტოვებს.

(15—6.—7) ნ. ა. საბაევი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 марта 1900г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე